პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

მოქცეულნი მის ნაწ მკლავებში

ზუსტად ისე, როგორც სხვები, მე ხშირად შთამაგონებდა ხელოვნებისა და მუსიკის შედევრები. ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როცა ვიდექი დანიელი მხატვრის, ფრანც შვარაცის, შედევრის წინ, სათაურად *აგონია ბაღში.*[1]

ეს მტკივნეულად ლამაზი ტილო ასახავს მხსნელს, რომელიც მუხლმოდრეკილია გეთსემანიის ბაღში. ის ლოცულობს, მის გვერდით კი ანგელოზი დგას, ეხვევა მას ნაზი ხელებით, სთავაზობს ნუგეშს, ზეციურ დახმარებასა და მხარდაჭერას.

რაც უფრო დიდხანს ვუყურებ ამ ტილოს, მით უფრო მეტად მევსება გული და გონება სინაზისა და მადლიერების აუღწერელი გრძნობით. შემიძლია განვიცადო, თუმცა მსუბუქად, როგორი უნდა ყოფილიყო იქ ყოფნა მაშინ, როცა მხსნელმა დაიწყო თავისი მიწიერი ცხოვრების დიადი, დამასრულებელი სამუშაო საკუთარ თავზე სამყაროს ცოდვების აღებით. მე მაოცებს ის უსაზღვრო სიყვარული და თანაგრძნობა, რომელიც მამას შვილების მიმართ გააჩნია. მე ღრმა მადლიერებით ვივსები იმისთვის, რაც უცოდველმა ძემ ჩემთვის და მთელი კაცობრიობისთვის გააკეთა.

ღვთის ძის მსხვერპლშეწირვა

ყოველ წელს ამ დროს ვიხსენებთ და ვიაზრებთ იმ მსხვერპლს, რომელიც იესო ქრისტემ მთელი კაცობრიობისთვის გაიღო.

ის, რაც მხსნელმა ჩვენი გულისთვის გააკეთა, დაწყებული გეთსიმანიიდან დამთავრებული გოლგოთით, აღემატება ჩემს გაგებას. მან საკუთარ თავზე აიღო ჩვენი ცოდვების ტვირთი და გადაიხადა მარადიული, შემკვრელი გამოსასყიდი არა მხოლოდ ადამის პირველადი ცოდვისა, არამედ მილიონობით სულებისა, რომლებსაც ოდესმე უცხოვრიათ დედამიწის ზურგზე. ამ მარადიულმა, წმინდა მსხვერპლშეწირვამ აათრთოლა ტკივილისგან თავად ღმერთი, ყველაზე დიადი, და სისხლი წამოუვიდა ყოველი ფორიდან და იტანჯებოდა, როგორც სულით, ისევე ხორცით" (მოძღვრება და აღთქმები 19:18).

იგი ეწამა ჩემთვის .

იგი თქვენთვის ეწამა.

სული მადლიერებით მევსება, როცა ვუფიქრდები ამ მსხვერპლის ძვირფას შინაარსს. ჩემში მორჩილებას იწვევს როცა ვფიქრობ, რომ ყველას, ვინც ღებულობს ამ ძღვენს და გულით მისკენ იხრება – მიეტევება და ცოდვებისგან განიწმინდება და არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რაოდენ მძიმე იყო მათი შეცოდება ან რამდენად დამთრგუნავია მათი ტვირთი.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვიბანოთ ყოველი ლაქა და კვლავ განვიწმინდოთ. ჩვენი საყვარელი მხსნელის მარადიული მსხვერპლის წყალობით შეგვიძლია გავხდეთ გამოსყიდულნი.

ვინ გვანუგეშებს?

მიუხედავად იმისა, რომ ვერცერთი ჩვენგანი ვერასდროს ვერ გამოსცდის უფლის ტანჯვის სიღრმეს, თითოეულ ჩვენგანს აქვს საკუთარი ბნელი, მწარე წუთები, როცა წუხილი და სევდა გვეჩვენება იმაზე დიდი, რისი ატანაც შეგვიძლია. იქნება დრო, როცა ჩვენი ცოდვების ტვირთი და სინდისის ქენჯნა შეუბრალებლად დაგვაწვება.

და მაშინაც კი, თუ ამ დროს ავიმაღლებთ გულებს უფლისკენ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მას ზუსტად ეცოდინება ყოველივე და ყველაფერს გაიგებს. ის, ვინც ასე თავდადებულად იტანჯებოდა ჩვენთვის ბაღში და ჯვარზე, არასოდეს არ დაგვტოვებს ნუგეშის გარეშე დღეს. იგი გაგვამტკიცებს, გაგვამხნევებს და დაგვლოცავს. იგი ნაზ მკლავებში მოგვაქცევს.

იგი ჩვენთვის ანგელოზზე მეტი იქნება.

იგი მოგვიტანს დალოცვილ სიმშვიდეს, ნუგეშსა და მიტევებას.

რამეთუ იგი ჩვენი გამომსყიდველია.

იგი ჩვენი მხსნელია.

ჩვენი მოწყალე მაცხოვარი და დალოცვილი ღმერთი.

შენიშვნა

1. მღვდელმა, რომელიც ფრანც შვარცის დასაფლავებაზე გამოვიდა სიტყვით, თქვა: "მისი ხელოვნება ღვთიური ძღვენი იყო და მრავალ ქადაგებაზე უფრო ძვირფასი იყო"(Emmilie Buchanan-Whitlock, "History of Artists' Lives Gives Greater Context for Exhibit", *Deseret News,* Sept. 29, 2013, deseretnews.com).

ამ გზავნილის სწავლება

სანამ დაიწყებთ სწავლებას, ეძიეთ სული წმინდის კარნახს, რათა დაგეხმაროთ იგი, გაიგოთ თქვენი მოწაფის განსაკუთრებული საჭიროებები. პრეზიდენტი უხთდორფის ამონარიდების გაზიარებისას, მას თან დაურთეთ მხსნელისა და მისი გამოსყიდვის მსხვერპლშეწირვის მოწმობა. ჰკითხეთ მათ, ვისაც ასწავლით, რას ნიშნავს მათთვის მისი გამოსყიდვა და როგორ იგრძნეს მათ უფლის ნუგეში "მძიმე, მწარე წუთების დროს".

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, March 2015.* Georgian. 12583 131

ახალგაზრდები

იესო ქრისტეს მეშვეობით გამარჯვება

სახელი არ არის მოხსენიებული

მე ზედმეტ ჭამასთან დაკავშირებული პრობლემა მქონდა. გადამეტებულ ჭამასთან დაკავშირებით განმეორებითი შეტევების შედეგი იყო დამთრგუნავი დანაშაულის გრძნობა, გულგატეხილობა და იმედგაცრუება. მე ისე სუსტად ვგრძნობდი თავს, როცა ვცდილობდი ამ პრობლემის დაძლევას.

დიდი ხნის განმავლობაში უარვყოფდი იმ ფაქტს, რომ მხსნელის გამოსყიდვა არა მხოლოდ გადაგვარჩენს, არამედ გვიხსნის და სრულგვყოფს, და რომ ეს ასევე ეხება ჩემს აშკარად არასრულყოფილ გადამეტებული ჭამის ჩვევას.

მე გადავწყვიტე მხსნელს მივაბარო თავი. ვილოცე. გულწრფელად გამოვუტყდი სისუსტეებში და მისი მადლის საჭიროებაში, შემდეგ ვთხოვე მამაზეციერს, დაველოცე მისი ღვთიური დახმარებით მომავალ დღეს. იმ ღამეს ვიგრძენი მოსიყვარულე მამაზეციერის დასტური იმისა, რომ მას ჰქონდა უსაზრვრო სურვილი, დაეხმაროს თავის შვილს და ეჭვშეუტანელი ძალა, შეასრულოს თავისი სურვილი.

იმ ღამის მერე საჭმელს აღარ ჰქონდა ისეთი გავლენა ჩემზე. მე ვიცი, რომ იესო ქრისტე არის ჩემი წარმატების მიზეზი. ზუსტად როგორც პავლე მოციქული მეც ვსწავლობ, რომ "ყოველივე ძალმიძს ჩემს განმტკიცებელში, ქრისტეში" (ფილიპელთა 4:13). და მე ვცდილობ არასდროს არ დავივიწყო მეორე გაკვეთილი პავლესგან: "მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ" (1 კორინთელთა).

ბავშვები

უფალი განუგეშებთ

ჰკითხეთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, როდის უგრძვნიათ მათ მხსნელის ნუგეში. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა მხსნელი თქვენ დაგეხმარათ. შეგიძლიათ დახატოთ ამ გამოცდილებასთან დაკავშირებული სურათი და დაკიდოთ იგი საწოლთან, რათა გახსოვდეთ, რომ იესო ქრისტე ყოველთვის თქვენთან არის თქვენს სანუგეშოდ.

იესო ქრისტეს თვისებები: მრავლის მოთმენა და მოთმინება

ლოცვით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ აქედან სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გააზრება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი reliefsociety.lds.org.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის თვისებებს.

მოთმინებაზე ხშირად ფიქრობენ, როგორც წყნარ, პასიურ თვისებაზე, მაგრამ როგორც პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა აღნიშნა, "მოთმინება არ არის პასიური უარყოფა, არც შიშის გამო მოქმედებაზე უარის თქმა. მოთმინება ნიშნავს აქტიურ ლოდინსა და გაძლებას. ის ნიშნავს რაიმეში დარჩენას . . . მაშინაც კი, როცა ჩვენი გულის სურვილები გაიწელა დროში. მოთმინება არ არის უბრალო გაძლება; ეს კარგად გაძლებაა"!

წინა მიწიერ ცხოვრებაში, მამაზეციერმა მოგვიმზადა ჩვენ, თავის სულიერ შვილებს, გეგმა და ჩვენ სიხარულით ვყვიროდით დედამიწაზე მოვლენის საშუალების მიღების გამო (იხ. იობი 38:7). როცა მიწიერ ცხოვრებაში ვირჩევთ, გავუტოლოთ ჩვენი ნება მის ნებას, იგი "იარაღად გვაქცევს თავის ხელში მრავალი სულის გადასარჩენად"(ალმა 17:11).

პრეზიდენტი უხთდორფი აგრძელებს: "მოთმინება ნიშნავს მიიღო ის, რასაც ვერ შეცვლი და შეხვდე ამას სიმამაცით, მადლიერებითა და რწმენით. ეს ნიშნავს "დავემორჩილოთ ყოველივეს, რასაც უფალი გადაწყვეტს, მოავლინოს ჩვენზედ, ისე როგორც ბავშვი ემორჩილება მამას" [მოსია 3:19]. საბოლოოდ, მოთმინება ნიშნავს იყო 'მტკიცე და ურყევი უფლის მცნებების დაცვაში'[1 ნეფი 2:10] ყოველ დღე, ყოველ საათს, მაშინაც კი, როცა ეს ძალიან ძნელია".[1]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

ფსალმუნი 40:1; გალატელთა 5:22-23; 2 პეტრე 1:6; ალმა 17:11

წმინდა წერილიდან

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ მიწიერ ცხოვრებაში უნდა ვიყოთ "მომთმენნი ტანჯვაში, რადგან იგი მრავლად იქნება". შემდეგ ღმერთი გვაძლევს ამ მანუგეშებელ დაპირებას: "გაუძელი მათ, რადგან აჰა, მე შენთან ვარ, სიცოცხლის ბოლო დღემდეც კი" (მოძღვრება და აღთქმები).

ქვემოთ მოყვანილი ამბავი ბიბლიიდან მოთმინებისა და რწმენის მაგალითია.

"და იყო ერთი ქალი, რომელიც თორმეტი წელი სისხლის დენით იტანჯებოდა . . . მისი [ქრისტეს] ტანსაცმლის კალთას შეეხო. იმწამსვე შეუწყდა სისხლის დენა.

"თქვა იესომ: ვინ შემეხო? . . . ვიღაც შემეხო მე, რადგან ვგრძნობ, რომ ძალა გავიდა ჩემგან.

"ქალმა, რაკი დაინახა, რომ ვერ დაიმალა, მიუახლოვდა ძრწოლით, დაემხო მის წინაშე და საჯაროდ განაცხადა, რა მიზეზითაც შეეხო და როგორ უცბად განიკურნა.

„უთხრა მას: ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, წადი მშვიდობით"! (ლუკა 8:43–48).

ჩვენც მისნაირად შეგვიძლია ვიპოვოთ ლოცვა-კურთხევები და ნუგეში, გამოჯანმრთელებაც კი, როცა ვწვდებით იესო ქრისტეს, რომლის გამოსყიდვასაც შეუძლია ჩვენი გაჯანსაღება.

შენიშვნა

1. დიტერ ფ. უხთდორფი, "Continue in Patience," Liahona, მაისი 2010, 57, 59.

განიხილეთ შემდეგი

ლუკას სახარება, თავი 8, აღწერილი მაგალითიდან, როგორ დაუფასდა იმ ქალს მოთმინებისა და იესო ქრისტეში რწმენის წლები?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში.
ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, March 2015.* Georgian 12583 131